ხელშეკრულება №24/06/7

ქ. თბილისი 24 ივნისი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ **სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ -„შემსყიდველი") და მეორე მხრივ **სსიპ „გორის ქალთა კამერული გუნდი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე კაჭარავას** სახით (შემდგომ -„მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ 2015 წლის 28 ივნისს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ სიმფონიური ორკესტრისა და ლიზა ბათიაშვილის კონცერტზე, (შემდეგში „სამუშაო") (CPV-92300000) (დაფინანსების წყარო- ბიუჯეტის სახსრები)

1.2. „შემსყიდველი" თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მომსახურების ღირებულება (ჰონორარი) **3125 (სამი ათას ას ოცდახუთი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

1.3. 1.2. პუნქტში გათვალისწინებული თანხა გადაერიცხება „მიმწოდებელს“ მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

1.4. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10 პრიმა მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება №98.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „მიმწოდებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი ხარისხის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.2. „შემსყიდველი" ვალდებულია განიხილოს შესრულებული „სამუშაო" და წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს" „სამუშაოს" მოწონების ანდა მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

2.3. თუ „მიმწოდებელს" 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, შესრულებული „სამუშაო" „შემსყიდველის" მიერ მოწონებულად ითვლება.

2.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 1.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეუმციროს საზღაური „მიმწოდებელს " იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. „შემსყიდველის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 30 აგვისტომდე.

3.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) „ შემსყიდველის " მიერ, „სამუშაოს" დასრულებამდე ნებისმიერ დროს;

3.4. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება 3.3. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულება.

4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „დამკვეთი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"

საიდენტ. კოდი 205065196
მის.: თბილისი. ბარნოვის ქ. №54
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

მიმწოდებელი

სსიპ „გორის ქალთა კამერული გუნდი"

საიდენტ. კოდი 218062646
მის.: ქ. გორი, სამეფო ქ. №17
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 08127166

გენერალური მენეჯერი

.. ..

ნინო ნახუცრიშვილი

დირექტორი

.. ..

ალექსანდრე კაჭარავა